კავკასიის
საერთაშორისო
უნივერსიტეტი

CAUCASUS
INTERNATIONAL
UNIVERSITY

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (CIU)

მდგრადი განვითარების ანგარიში

კავკასიის საეთაშოხისო უნივეხსიტეტის მდგხადი განვითახების ანგახიში აეთიანებს უნივეხსიტეტის მიეხ 2023 წლის 17 ოქტომბხიდან - 2024 წლის 31 ივლისამდე განხოხციელებულ აქტივობებს, ხომელიც ემსახუხება გაეხოს მდგხადი განვითახების მიზნების მიღწევას

შესავალი - ვინ ვართ ჩვენ?

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ინსტიტუციურ დონეზე იზიარებს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს (SDG) და ხელს უწყობს მის განხორციელებას სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტების აქტიური ჩართულობით. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტი, პარტნიორ კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებთან ერთად, ახორციელებს პროექტებს მდგრადი განვითარების მიზნების მხარდაჭერის მიმართულებით.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ქმნის თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო გარემოს ინოვაციური მეთოდების დანერგვით, ინტერნაციონალიზაციის გზითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე თაობების აღზრდას, რომელთაც შეუძლიათ წვლილის შეტანა მდგრადი განვითარების გამოწვევების დაძლევაში.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი თავის კონტრიბუციას განსაზღვრავს მდგრად განვითარებაში, საკუთარი პროფილიდან გამომდინარე. ეს ითვალისწინებს გლობალური მდგრადი განვითარების მიზნების ეტაპობრივი და სტრუქტურირებული გზით ინტეგრირებას როგორც სასწავლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე „მესამე მისიით“ გათვალისწინებულ საქმიანობაში.

აღსანიშნავია, რომ აქცენტი, მდგრადი განვითარების მიმართულებით წვლილის შეტანაზე, უნივერსიტეტის მისიის განაცხადში გაჩნდა 2023 წელს. ეს სიახლე დაეფუძნა ***ჰომის 2020 წლის მინისტერიალის კომუნიკეს***, რომელშიც ხაზგასმულია უნივერსიტეტების როლი მდგრადი განვითარების გამოწვევების დაძლევაში. უნივერსიტეტის მისიაში აქცენტი მდგრად განვითარებაზე, ასევე, გამომდინარეობს საქართველოს მთავრობის მიერ, 2022 წელს დამტკიცებული დოკუმენტიდან – ***ხედვა 2030 წლისათვის საქართველოს განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ***, რომელიც მთლიანად ეფუძნება საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპებს და გაეროს 2030 წლის დღის წესრიგის პრიორიტეტს – წევრი ქვეყნების ერთიან ძალისხმევას ინკლუზიური და მდგრადი განვითარებისათვის.

მდგრად განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი თავისი სწავლა-სწავლებისა და კვლევითი პროფილიდან გამომდინარე, „მესამე მისიის“ სტრუქტურირებული გზით განხორციელებისათვის პრიორიტეტს ანიჭებს მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებს:

- ☑ SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;
- ☑ SDG 4 - ხარისხიანი განათლება;
- ☑ SDG 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება;
- ☑ SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები.

მდგრადი განვითარების ამ პრიორიტეტული მიზნებისა და უნივერსიტეტების „მესამე მისიის“ გაძლიერებისა და ხელშეწყობის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხედვის შესაბამისად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგი სახის აქტივობებს:

- ✓ ფართო საზოგადოებას, მათ შორის სკოლის მოსწავლეებსა და ახალგაზრდებს უზიარებს უნივერსიტეტის სივრცეში დაგროვილ ცოდნასა და პრაქტიკას. ამით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ზრუნავს, რომ საზოგადოება გახდეს უფრო დემოკრატიული, იცოდეს საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოსთან მიმართებაში;
- ✓ ახორციელებს მრავალფეროვან სასერტიფიკატო და უწყვეტი განათლების კურსებს, რითაც, ასევე, ზრუნავს სიცოცხლის განმავლობაში სწავლასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე;
- ✓ ჩართულია საკანონმდებლო ბაზის/ეროვნულ დონეზე მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტების შემუშავებაში;
- ✓ მხარს უჭერს მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებას და ახალი ინოვაციური სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარებას;
- ✓ ახორციელებს რეგიონული განვითარების ინიციატივებს არსებული საჭიროებების შესაბამისად.
- ✓ აღსანიშნავია, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი გახდა გაეროს გლობალური შეთანხმების წევრი ორგანიზაცია. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს „მდგრადი განვითარების მიზნების ლაბორატორია“. გაეროს გლობალური შეთანხმების წევრობა შესაძლებლობას აძლევს უნივერსიტეტს ლაბორატორიის ბაზაზე განახორციელოს მასშტაბური პროექტები და ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების პოპულარიზაციას.

ჯანმრთელობის კვირეული CIU-ში

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების“ ორგანიზებით, ჯანმრთელობის კვირეული გაიმართა თემატიკით - „დამოკიდებულება“.

კვირეულის სხვადასხვა აქტივობა მიზნად ისახავდა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და პოზიტიური მიდგომების წახალისებას.

კვირეული „მედიცინის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების“ წარმომადგენლებმა გახსნეს, სადაც კვირეულის მიზნებსა და დაგეგმილ აქტივობებზე ისაუბრეს.

გაიმართა დებატები თემაზე: „ინდივიდუალური მიდგომა დამოკიდებულების ტიპის მიხედვით (ნივთიერებაზე დამოკიდებულება/ქცევითი დამოკიდებულება) VS ერთიანი მიდგომა დამოკიდებულების მიმართ“. დებატები მიზნად ისახავდა დამოკიდებულებისადმი ერთიან და განსხვავებულ მიდგომას შორის დიქოტომიის განხილვას.

კვირეულის ფარგლებში გაიმართა ვიქტორინა (ქვიზი), რომელიც შედგებოდა 4 კატეგორიისგან: გულ-სისხლძრღვთა სისტემა, საჭმლის მომნელებელი სისტემა, სასუნთქი სისტემა და ნერვული სისტემა. გუნდები მედიცინის ფაკულტეტის სხვადასხვა კურსის სტუდენტებით დაკომპლექტდა. თამაშზე კითხვები როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე დაისვა, ვიქტორინის ბოლოს კი გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

კვირეულის ფარგლებში გაიმართა პოსტერების პრეზენტაცია სადაც მონაწილეებმა თავიანთი ნამუშევრები წარადგინეს. აქტივობის მიზანს წარმოადგენდა, რომ სტუდენტებს შეესწავლათ

აკადემიურად სწორი პოსტერული პრეზენტაციის წარდგენა, მეცნიერულად დამტკიცებული მეთოდები გამოყენება და კვლევების წარმოება. კონკურსის ფარგლებში კი სამი გამარჯვებული გამოვლინდა.

კვირეული შემაჯამებელი ღონისძიებით დაიხურა, სადაც დაჯილდოვდნენ სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებული მონაწილეები ასევე, გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: „დამოკიდებულება და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა - ორმაგი დიაგნოზის გამოწვევები“, სადაც მედიცინის დოქტორმა, ფსიქიატრმა თამარ ალადაშვილმა ისაუბრა აღნიშნული მდგომარეობების თანმხლებ დარღვევებზე და მათ შორის არსებულ სირთულეებზე.

საგანმანათლებლო პროექტი - მე ვიხეხავ კბილებს!

საქართველოს პაროდონტოლოგთა ასოციაციის, ,,ლაკალუტისა“ და ,,ავერსი ფარმას“ მიერ წამოწყებულ საგანმანათლებლო პროექტში - ,,მე ვიხეხავ კბილებს“ ჩართულები იყვნენ სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტები, მათ ჩაატარეს ვიზიტები სკოლებში. პროექტის მიზანია ბავშვობიდანვე აამაღლოს ცნობადობა პირის ღრუს ჯანმრთელობის შესახებ.

უფასო კონსულტაცია ევრომელანომას ფარგლებში

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში, „საქართველოს ფოტოდერმატოლოგიისა და კანის კიბოს ასოციაციის“ ორგანიზებით, „ევრომელანომა 2024-ის“ ფარგლებში, დაინტერესებულ პირებს უფასო კონსულტაცია გაეწიათ.

ევრომელანომა კანის კიბოს პრევენციის პან-ევროპული კამპანიაა, რომლის მიზანიცაა მიაწოდოს ინფორმაცია ყველას და გააძლიეროს მეთვალყურეობა კანის კიბოს პროფილაქტიკისა და ადრეული დიაგნოსტიკის შესახებ.

სპორტის პოპულარიზაცია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ქვეყნაში სპორტის ხელშეწყობის მიზნით არაერთი პროექტი აქვს განხორციელებული. უნივერსიტეტი ფლობს საკალათბურთო კლუბის -"CIU კავკასია" და ავითარებს სხვადასხვა სპორტული სახეობების ხელშეწყობისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას.

უნივერსიტეტი აქტიური სასწავლო პროცესისა და აკადემიური აქტივობების პარალელურად, უმნიშვნელოვანეს ყურადღებას უთმობს მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას. ადმინისტრაცია, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები და ასევე უნივერსიტეტის ახალგაზრდობის, სპორტისა და კულტურის სამსახური ხელს უწყობს სპორტულ, კულტურულ-შემოქმედებით, სასწავლო-სახელოვნებო მრავალფეროვან საქმიანობას სტუდენტების ნიჭისა და სურვილების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. ამ მიზნით ხდება სტუდენტური ინიციატივების, პროექტების, საგანმანათლებლო, სპორტული, ინტელექტუალური, შემოქმედებითი და სხვა ღონისძიებების მხარდაჭერა და დაფინანსება. უნივერსიტეტში მოქმედი წრეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უნივერსიტეტის სოციალური, კულტურული და ინტელექტუალური გარემოს შექმნაში. მსგავსი წრეები, იქნება ეს კულტურის, სპორტის თუ ინტელექტუალური თამაშების მიმართულებით, შესაძლებლობას აძლევთ სტუდენტებს ჩაერთონ საქმიანობებში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა სხვადასხვა მიმართულებებით თვითრეალიზაციასა და სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებას. აღნიშნული წრეები აერთიანებს სტუდენტებს საერთო ინტერესების ირგვლივ და ახდენს მათ დაახლოებას. სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, შექმნან აქტივობები და განახორციელონ იდეები, უნივერსიტეტი კი, ხელს უწყობს და მხარს უჭერს მათ ინიციატივებს.

სკოლის მოსწავლეებისა და აბიტურიენტების მხარდაჭერა:

უნივერსიტეტი ახორციელებს პროექტს, „CIU აკადემია აბიტურიენტებისთვის“, რომლის მიზანია, სკოლის მოსწავლეებს მისცეს შესაძლებლობა, გაეცნონ მათთვის საინტერესო პროფესიებს და

გაიგონ, რამდენად მოსწონთ კონკრეტული პროფესია. ყველა აბიტურიენტისთვის პროექტი სრულად დაფინანსებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტს განხორციელებული აქვს პროფესიული ორიენტაციის სხავადასხვა პროექტები („საერთაშორისო პოლიტიკისა და დიპლომატიის სკოლა აბიტურიენტებისათვის“, „გახდი იურისტი“, „მევენახეობა მეღვინეობის სკოლა აბიტურიენტებისათვის“, „მედიცინის სკოლა აბიტურიენტებისთვის“, „ბიზნეს აკადემია აბიტურიენტებისთვის“). ამ პროექტების საშუალებით სკოლის მოსწავლეები იძენენ ცოდნასა და უნარებს სხვადასხვა დარგებში, რაც მათ ეხმარებათ მომავალი კარიერის არჩევასა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაში.

ინსტიტუციაში დაგროვილი ცოდნის გაზიარება

ცოდნის დისემინაცია რეგულარული საჯარო ლექციებითა და ვიდეო ლექციებით. საჯარო ლექციები წარმოადგენს უნივერსიტეტისა და საზოგადოების ერთგვარ დამაკავშირებელ პლატფორმას. (ჩატარებული საჯარო ლექციების შესახებ განცხადებების ნახვა შესაძლებელია ძიების ველიდან - https://ciu.edu.ge/) ასევე, აღსანიშნავია, პროექტი „ლექტორიუმი“, რომელსაც უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრი 2018 წლიდან ახორციელებს. პროექტის ფარგლებში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორების ავტორობით ჩაწერილი ვიდეო ლექციები არაერთ საზოგადოებისთვის აქტუალურ და საინტერესო თემას ეხება და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ფართო საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას, გამოიყენოს უნივერსიტეტის სივრცეში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ახალი პროფესიული უნარების შეძენისათვის. აღსანიშნავია, რომ უწყვეტი განათლების მიმართულებით უნივერსიტეტი 2010 წლიდან სთავაზობს საზოგადოების ფართო ფენებს, სხვადასხვა სოციალურ და ასაკობრივ ჯგუფებს კურსებს და ტრენინგებს. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების ხელშეწყობისათვის უნივერსიტეტი შეიმუშავებს მოკლე კურსებს პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის (განხორციელებული მოკლე კურსების შესახებ ინფორმაცია იხ. ბმულზე - https://ciu.edu.ge/ulll).

CIU ზამთრის სკოლა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

CIU-ს ზამთრის სკოლაში მონაწილეობა შეეძლოთ ნებისმიერი უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს; სკოლის მონაწილეები შეირჩნენ სამოტივაციო წერილის საფუძველზე. მათ ჩაუტარდათ ტრენინგები და ვორქშოპებები შემდეგ თემებზე:

- ✓ თემა: „დედაქალაქის საკრებულოს მუშაობის სტრუქტურა და თავისებურებანი“; მომხსენებელი: თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე - რევაზ სოხაძე;

- ✓ თემა: „მუნიციპალური სამართლის საფუძვლები“; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი - ლაშა მარგიშვილი;
- ✓ თემა: „ქალაქ თბილისის მერიის მუშაობის თავისებურებანი“;
- ✓ თემა: „მუნიციპალიტეტების განვითარების ხედვა“;
- ✓ თემა: „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების დასავლური მაგალითები“; მომხსენებელი: ექსპერტი ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში - ნინო ლოლაძე;
- ✓ თემა: „ადგილობრივი თვითმმართველობის ჰერალდიკური ნიშნები და მათი შექმნის თავისებურებანი“; მომხსენებელი: საქართველოს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე - მამუკა გონგაძე;
- ✓ საჯარო ლექცია თემაზე: „ნიკო ნიკოლაძე - „ერთობა, თვითმოქმედება, თვითმმართველობა““; მომხსენებელი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი, ნიკო ნიკოლაძის საზოგადოების თავმჯდომარე - გიორგი ფარეშიშვილი;

სკოლა სრულად დაფინანსებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ!

სკოლის მხარდამჭერი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო;

სკოლის კურატორები:

თინათინ ნიბღოშვიღი *– ქაღაქ თბიღისის საკჰებუღოს თავმჯდომაჰის მოადგიღე;*

გიოჰგი ფაჰეშიშვიღი *– კავკასიის საეჰთაშოჰისო უნივეჰსიტეტის ჰექტოჰის მჰჩეველი, ნიკო ნიკოღაძის საზოგადოების თავმჯდომაჰე.*

ბიზნეს ინკუბატორი

„ბიზნეს ინკუბატორი“ არის ხელშემწყობი პროგრამა, რომელიც სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს გაიარონ საკუთარი ბიზნეს იდეის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნეს ინკუბატორი, როგორც დინამიურ პლატფორმა ემსახურება ხარისხიანი განათლების მიწოდებას და სტარტაპების ზრდას, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) პრინციპების ჩართვით. მისი მთავარი მიზანია უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის გადმოტანა პრაქტიკაში, ინოვაციური კულტურის აღზრდა, რომელიც აერთიანებს მდგრადობის პრინციპებს ბიზნეს საქმიანობისის საწყისი ეტაპიდან. რესურსების მიწოდებით, მენტორობითა და მიზნობრივ კავშირებზე წვდომით, ინკუბატორი აძლევს სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს საშუალებას განავითარონ და გაანავრცონ მდგრადი ბიზნეს მოდელები, რომლებიც მინიმუმამდე აზიანებენ გარემოს, ხელს უწყობენ სოციალურ თანასწორობას და უზრუნველყოფენ გრძელ-

ვადიან მომგებიანობას. ბიზნეს ინკუბატორი გადამწყვეტ როლს ასრულებს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევაში ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაღრმავების, უნარებისა და ცოდნის გაძლიერების, შესაძლებლობების განვითარებისა და ახალგაზრდების თვითდასაქმების და დასაქმების ხელშეწყობის გზით. ინკუბატორი ძირითადად ფუნქციონირებს, როგორც სწავლისა და უნარების განვითარების ცენტრი სტუდენტებისთვის, სთავაზობს წვდომას მენტორობაზე, სასწავლო პროგრამებზე, მიზანმიმართულ კავშრებზე და რესურსებზე (მათ შორის კვლევაზე, დაფინანსების შესაძლებლობებზე და დამხმარე საუნივერსიტეტო ეკოსისტემაზე) მათი შესაძლებლობებისა და უნარების გასაუმჯობესებლად, რითაც SDG 4-ის წინსვლას უწყობს ხელს (ხარისხიანი განათლება) და SDG 8 (ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა). სტარტაპებისა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერით, ინკუბატორი ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ხელს უწყობს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას და ამცირებს უთანასწორობას, როგორც ეს ასახულია SDG 8-ში. გარდა ამისა, ინკუბატორი ხელს უწყობს სტუდენტების შესაძლებლობებს ინოვაციებისა და მეწარმეობის კულტურის ხელშეწყობის გზით, რაც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს შექმნან მდგრადი გადაწყვეტილებები ადგილობრივი და გლობალური გამოწვევებისთვის, SDG 9-ის (მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა) შესაბამისად. გარდა ამისა,მთლიანობაში, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის გზით, ბიზნეს ინკუბატორი ემსახურება როგორც პლატფორმა, მრავალი SDG-ის მიღწევას სამეწარმეო ინოვაციების ხელშეწყობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზით.

მდგრადობის/მდგრადი განვითარების საკითხების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში

სასწავლო კურსებში შესასწავლ თემებში შეტანილია მდგრადი განვითარების საკითხები:

- ☑ ფინანსური სექტორის გამოწვევები - კვლევა და ანალიზი (ფინანსური ინკლუზიურობის და განათლების საკითხები).
- ☑ მენეჯმენტის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი (კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები).

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის შემდეგ სასწავლო კურსებში არის ასახული მდგრადი განვითარების მიზნები:

1. ეთიკა და პასუხისმგებლიანი ბიზნესი
2. გლობალური სტრატეგიული მენეჯმენტი
3. რისკების მართვა გლობალურ ბიზნესში

საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში:

- ☑ მდგრადი მიზნების საკითხების გამოყენება პროგრამის სასწავლო კურსებში
- ☑ პროგრამას დაემატა ახალი საგანი – „მდგრადი მარკეტინგი“.

არსებულ და ახალ საგნებში ასევე გამოყენებულია საკითხები მდგრადობასთან დაკავშირებით, კერძოდ:

- ✓ საგანში „სოციალური მარკეტინგი“ – სადაც შესავალში და რიგ თემებში საუბარია მდგრადობის შესახებ;
- ✓ „გაყიდვები და ბიზნესის განვითარება“ – მეოთხე კვირა – თემა შეეხება იმას, თუ რა სტრატეგიებს იყენებენ წარმატებული კომპანიები კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად, სადაც ასევე განიხილება საკითხები მდგრადობასთან დაკავშირებით;
- ✓ „კონკურენცია და კონკურენტული სტრატეგიები“ – თემა 3; თემა 4; თემა 5; თემა 11;
- ✓ „საერთაშორისო ბრენდ-მენეჯმენტი“ – ბრენდის პოზიციონირებაზე საუბრისას ერთ-ერთ პრიორიტეტად განიხილება კომპანიების მდგრადობისკენ სწრაფვა;
- ✓ „საერთაშორისო მარკეტინგის მენეჯმენტი“ – კვირა 15 – სოციალურად პასუხისმგებლიან მარკეტინგსა და მდგრადობაზე.
- ✓ „ციფრული მარკეტინგი და ელექტრონული კომერცია“ – მე-15 კვირაში – სტუდენტები მუშაობენ ქეისზე, რომელიც ეხება სოციალური მარკეტინგის ინტერნეტ და ციფრულ განხორციელებას.

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებულ საკითხებს, კონკრეტულად:

1. ტურიზმის მდგარადი განვითარება – (კურსი მთლიანად მდგრად განვითრებას ეძღვნება) ლექტორი ასოც. პროფესორი გ. ნებსაძე
2. ტურიზმის პოლიტიკა და საკანონმდებლო ბაზა – (საკითხების სახით არის განსაზღვ-რული) ლექტორი ასოც. პროფ. ლ. მიქელაძე
3. ღონისძიებების მენეჯმენტი MICE ტურიზმი – (საკითხების სახით არის განსაზღვრული) ლექტორი ასოც.პროფ. ნ. ახალაია
4. გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი – (საკითხების სახით არის განსაზღვრული) ლექტორი პროფ. მ.უკლება
5. ტუროპერრეიტინგი – (საკითხების სახით არის განსაზღვრული) ლექტორი ასოც. პროფესორი ლ. მიქელაძე
6. საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები – (საკითხების სახით არის განსაზღვ-რული) ლექტორი პროფ. გ. ყუფარაძე

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა მდგრადი განვითარების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებში/ღონისძიებში/პროექტებში

1. ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის საერთაშორისო მარკეტინგის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლი – ანა ყაზაიშვილი ჩართული იყო გაეროს გლობალური შეთანხმების აქსელერაციის სამთვიანი პროგრამა SDG Ambition-ში. პროგრამა მოიცავდა ინიციატივასა და მდგრადი განვითარების

მიზნების შესრულების ახალ სისტემას. პროგრამის მიზანია ბიზნესისთვის მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება, მდგრადი განვითარების მიზნებისა და გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის კომპანიების ყოველდღიურ საქმიანობაში ინტეგრაციის შესახებ. პროგრამის დახმარებით, კომპანიები შეძლებენ მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირებას საკუთარ საქმიანობაში, რითაც ხელს შეუწყობენ გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესრულებას. SDG Ambition Accelerator მხარს უჭერს გაეროს გლობალური შეთანხმების წევრ კომპანიებს ამბიციური კორპორაციული ამოცანების დასახვასა და მდგრადი განვითრების მიზნების ბიზნესის ცენტრალური მართვის პროცესებში ინტეგრაციის დაჩქარებაში.

2. 2023-2024 სასწავლო წელს, ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველოს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის "სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა ევროპასა და ევრაზიაში" ფარგლებში, და ჯუნიორ ეჩივმენტ ალუმნი საქართველოსთან თანამშრომლობით გაიმართა ონლაინ ინოვაციების ბანაკის ღონისძიებას 15-დან 18 წლამდე მოსწავლეების ჩართულობით. ინოვაციების ბანაკის სამუშაო თემა – "მდგრადი ფინანსები", სადაც ჟიურის სტატუსით მონაწილეობა მიიღო ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა თეა ლაზარაშვილმა.

3. 2024 წელს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ინიციატივით, შვედეთისა და USAID–ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის დაფინანსებით გამოცხადდა კონკურსი "ბიზნესი მდგრადი განვითარებისათვის 2024", რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში კორპორაციული პასუხისმგებლობის კულტურის განვითარებასა და მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელების პროცესში ბიზნესის ჩართულობის წახალისებას. ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტმა ნომინაციაზე – „SDG 4 – ხარისხიანი განათლება" წარადგინა პროექტი – „ბიზნეს ინკუბატორი ხარისხიანი განათლებისთვის" და წარმატებით გადალახა პირველი ეტაპი! ამ ეტაპზე ველოდებით მეორე ეტაპის შედეგებს.

„გლობალური მეწარმეობის კვირეული" (Global Entrepreneurship Week 2023 / GEW)

უნივერსიტეტმა "გლობალური მეწარმეობის კვირეულის" (Global Entrepreneurship Week 2023 / GEW) ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს უმასპინძლა. GEW საერთაშორისო კამპანიაა, რომელიც მიზნად ისახავს ანტრეპრენერთა ეკოსისტემის ხელშეწყობასა და წახალისებას. კვირეულის ფარგლებში, ყოველწლიურად, 2008 წლიდან მოყოლებული დღემდე, 200-მდე ქვეყანა იღებს მონაწილეობას. აღნიშნულ ღონისძიებაზე საქართველო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა წარადგინა. კვირეულის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგი, საჯარო ლექციები, დახურვის ღონისძიებაზე კი გაიმართა ფაკულტეტის პარტნიორ მეწარმეთა გამოფენა-გაყიდვა, წარმატებული ქეისების გაზიარება სტუდენტებთან, პანელური დისკუსია და დარგის მიმდინარე საჭიროებების განხილვა, განხილვაში მონაწილეობდნენ როგორც მეწარმეები, ასევე აკადემიური პერსონალი და მოწვეული სტუმრები - პარტნიორი ასოციაციების წარმომადგენლები, კერძოდ, "საცალო ვაჭრობის ასოციაციის", "მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ასოციაციის", "ელექტრონული კომერციის ასოციაციის", "გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის" წარმომადგენლები.

კარიერული ქოუჩინგისა და მენტორინგის პროგრამა

აღსანიშნავია, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ხორციელდება კარიერული ქოუჩინგისა და მენტორინგის პროგრამა. პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს კარიერული განვითარების ხედვის ჩამოყალიბებაში სრულიად უსასყიდლოდ ეხმარებიან. აღნიშნული პროგრამა თანმიმდევრული და მრავალფეროვანი მიდგომებით ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას აღმოაჩინონ და გააცნობიერონ საკუთარი კარიერული მისწრაფებები, მიიღონ გააზრებული გადაწყვეტილება და დაისახონ პროფესიული მიზნები.

CIU "საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ინოვაციების და მეწარმეობის შესახებ"

სააგნარიშო პერიოდში ჩატარებული კონფერენციის მიზანია, ხელი შეუწყოს ინოვაციებისა და მეწარმეობის შესახებ უახლესი სამეცნიერო კვლევების განვითარებას და ინტერნაციონალიზაციას საქართველოში, მის პოპულარიზაციას ახალგაზრდა მეცნიერებს შორის, აკადემიურ, საჯარო და ბიზნესსექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას. იგი აერთიანებს მეცნიერებს, პრაქტიკოსებს, დარგობრივ ასოციაციებს და საერთაშორისო პარტნიორებს, ქმნის ინოვაციებისა და მეწარმეობის დარგში აქტუალურ საკითხებზე უახლესი კვლევების, მიგნებებისა და საუკეთესო გამოცდილების წარმოდგენისა და გაზიარების პლატფორმას.

პროექტი დაფინანსებულია შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ღონისძიების მასპინძელი, პროექტის წამყვანი და თანადამფინანსებელი ორგანიზაციაა. კონფერენციის თანაორგანიზატორები არიან QS World University Ranking-ის საუკეთესო უნივერსიტეტების სიაში მყოფი დაწესებულებები – ალკალას უნივერსიტეტის მეწარმეობის სკოლა (ესპანეთი) და დეგენდორფის ტექნოლოგიების ინსტიტუტი (გერმანია).

სამეცნიერო კონცეფციის ეფექტიანი განხორციელებისთვის გამოვიყენებული იყო ინოვაციების "სამმაგი სპირალის" მოდელი (The Triple Helix Model for Innovation), რაც გულისხმობს სამი ინსტიტუტის – უნივერსიტეტის, სახელმწიფოს და ბიზნესის ერთობლივ მოქმედებას ინოვაციების შექმნისა და განვითარების პროცესში (Etzkowitz & Leydesdorff, 2000).

სამმაგი სპირალის მოდელი უაღრესად დიდ როლს თამაშობს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობაში – უნივერსიტეტები, მეწარმეები და სახელმწიფო ურთიერთზემოქმედებენ ინოვაციური პროექტების შექმნის დროსალკალას უნივერსიტეტის მეწარმეობის სკოლასა და დეგენდორფის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან ინსტიტუციური კოლაბორაციით უნივერსიტეტმა გაიმარჯვა SRNSFG-ის კონკურსში, რომლის ფარგლებშიც ინოვაციების და მეწარმეობის შესახებ მასშტაბური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა 2024 წლის თებერ-

ვალში. ღონისძიების პლენარული მომხსენებლები იყვნენ დარგის გავლენიანი საერთაშორისო მეცნიერები, ხოლო პარტნიორები იყვნენ სხვადასხვა სამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები (არიზონას უნივერსუტეტი (აშშ), ემლიონის ბიზნეს სკოლა (საფრანგეთი), ალკალას უნივერსიტეტის მეწარმეობის სკოლა (ესპანეთი), სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი და სხვ)). აღნიშნული პროექტისთვის ალკალას უნივერსიტეტმა 2024 წლის 21 მარტს საქართველოში სამეწარმეო და ინოვაციური ღირებულებების პოპულარიზაციისა და ალკალას უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობისთვის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს „ინსტიტუციური აღიარების ჯილდო“ გადასცა.

ბიზნესკვლევები მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად

უნივერსიტეტში განხორციელდა კვლევითი პროექტი "ბიზნესკვლევები მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად", რომელიც 5 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროექტში მონაწილეობდნენ როგორც ფაკულტეტის სტუდენტები, ასევე სკოლის მოსწავლეები. მონაწილეებს მენტორობას უწევდნენ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის – მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია SMEDA-ს, FAO – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და საქართველოს დისტრიბუტორთა ასოციაციის წარმომადგენლები.

კვლევის ძირითად თემას "სურსათის ნარჩენების მართვის პრობლემები და გამოწვევები მიწოდების ჯაჭვებში" წარმოადგენდა. ძირითად მიზანთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისება და მხარდაჭერა.

პროექტის ფარგლებში, მონაწილეებს ჩაუტარდათ 6 ტრენინგი და გასვლითი ღონისძიება "ნატახტარის" საწარმოში. გარდა ამისა, გაიარეს მენტორინგის პროცესი, ითანამშრომლეს 15 სხვადასხვა საცალო-სავაჭრო, სარესტორნო, სასტუმრო და სადისტრიბუციო ორგანიზაციასთან, მოიპოვეს სასურველი ინფორმაცია და ჩაატარეს ინტერვიუები მაღალი რგოლის მენეჯერებთან.

ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა ორ სადისერტაციო ნაშრომზე მდგრადი განვითარების მიზნების მიმართულებით:

1. ტანსაცმლის მდგრადი მოხმარებისა და წარმოების საკითხები საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე.
2. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გავლენა კომპანიების ფინანსურ შედეგებზე.

კვლევის შედეგების დისემინაცია მოხდება ფართო საზოგადოებისთვის.

ასევე, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) პროექტის - „Internationalization of International Health Tourism” ფარგლებში, გერმანიის დეგენდორფის ტექნოლოგიის ინსტიტუტი (TID-Deggendorf Institute of Technology) და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (CIU) ტურიზმის საბაკალავრო პროგრამასთან ერთად ხორციელდება ერთობლივი კვლევითი პროექტი - საქართველოს სამედიცინო ველნეს და სპა ტურიზმის მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობის დასადგენად.

მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების კვირეული

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ჩაატარა ცნობირების ამაღლება ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებასთან და გარემოზე უარყოფით ზემოქმედების შემცირებასა და ახალგაზრდებში მწვანე უნარ-ჩვევების პოპულარიზებასთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის აქტივობები.

კერძოდ, განხორციელდა მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების კვირეული, რის ფარგლებში, ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ Jean Marc Stavroulakis, Founder and director of “Eliots”. Public lecture on the topic: "Harvesting Change: Food Waste Reduction and Transformative Initiatives in Georgia";
- ✓ CENN-ს პროექტის მენეჯერის, ვახო ქოჩორაძის სემინარი თემაზე: "მწვანე ეკონომიკა – მდგრადი განვითარება";
- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპასთან ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ნინო ლაცაბიძის სემინარი თემაზე: "ევროპული მწვანე შეთანხმება";
- ✓ კარლ პოპერის ფორმატის დებატები მწვანე ეკონომიკის საკითხებზე;
- ✓ სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განათლების პროექტების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ნინო ტაბატაძის სემინარი თემაზე: „კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება“;
- ✓ ნათელა ლაგურაშვილის სემინარი თემაზე: „მწვანე მეწარმეობა“.

უფასო იურიდიული დახმარება

უნივერსიტეტის ბაზაზე ფუქციონირებს იურიდიული კლინიკა. მის მუშაობაში ჩართულნი არიან სამართლის ფაკულტეტის მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, რომლებიც მოქმედი ადვოკატების ხელმძღვანელობით, უშუალოდ იღებენ მონაწილეობას სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებასა და იურიდიული კონსულტაციების გაწევაში. კონსულტაციები არის უფასო და სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ პირს. იურიდიული კლინიკა თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

- ☑ კერძო სამართალი;
- ☑ ადმინისტრაციული სამართალი;
- ☑ სისხლის სამართალი.

იურიდიული კლინიკის პროგრამის ფარგლებში მომსახურეობის გაწევის დროს სრულად არის დაცული კონფიდენციალიური ინფორმაცია საქმის გარემოებებისა და პიროვნების მონაცემების შესახებ. კონდიფენციალური ინფორმაცია დაცულია, როგორც სტუდენტების, ასევე პედაგოგებისა და ადვოკატების მხრიდან;

იურიდიული კლინიკის პროგრამა მომსახურებას უწევს მოსახლეობას, მათ შორის არასრულწ-ლოვნებს, უცხოელ სტუდენტებს, მიგრანტებს, ლტოლვილებს, დევნილებს, პაციენტებს, შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათი ოჯახის წევრებს და სხვა ჯგუფებს.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N 73

(+995 32) 2 022 115 , (+995 32) 2 611 298, (+995 32) 2 945 992

ciu@ciu.edu.ge